საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7159
24/11/2022

7159-21-2-202211241539

ი/მ მირზა ცირეკიძეს
მის: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის ქ. №19ა
ელ. ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6012 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის ქ. №19ა-ში სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მე-2 თავში მითითებულია, რომ უახლოესი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 160 მ-ით, ხოლო ცხრილი N1–ში, ატმოსფერულ ჰაერსა და ხმაურის ზემოქმედების თავებში, მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მითითებულია 490 მ. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი სამსხვრევი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატები (X – 311454; Y – 4677998) ემთხვევა საკადასტრო საზღვარს და საჭიროებს დაზუსტებას;
- როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილია ორგანყოფილებიანი სალექარი. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს სალექარის თითოეული განყოფილების პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, სიღრმე). ასევე, დაზუსტებას საჭიროებს სალექარის მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში გენგეგმაზე დატანილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი ექსპლიკაციით და უნდა იყოს გარჩევადი;
- ნედლეულის (ტეშენიტის ქვის, ნატეხების) რაოდენობის მაჩვენებელი $მ^3$-ში და ტ-ში არ შეესაბამება ერთმანეთს, რადგან სიმკვრივის არასწორი მაჩვენებელია გამოყენებული და შესაბამისად, წარმოდგენილი გაფრქვევის წყაროების ანგარიში საჭიროებს ხელახალ დაანგარიშებას;
- გაფრქვევების ანგარიში, გარდა სამსხვრევ დანადგარში ტეშენიტის ქვის ნამტვრევების დამსხვრევისას, უნდა ჩატარდეს ტეშენიტის ქვის გადამუშავების უბნიდანაც (ხერხვა, ჩამოგანვა, გაპრიალება), თანახმად „ატმოსფერული ჰაერის

დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #42 ბრძანებისა (მუხლი 4[1], პუნქტი 2, ბ ქვეპუნქტი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო